№ 159 ივლისი 24 ხუთშაბათი 1886 ივლისი 24 ხუთშაბათი, № 159

გაზეთი ღირს:

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
[illegible]	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს & გრიქუროვის წიგნებისმაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1-ლის აგვისტოდამ წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 50 კაპ.

ტფილისი, 23 ივლისი

ვინ არ იცის, რომ ჩვენს მონასტრებსა და ძველის ძველს ეკკლესიებში მრავალი საისტორიო განძი მოინახება, რომ გული გულობდეს. ჩვენი ისტორია, ჯერ კრიტიკის ცეცხლში არ გატარებული და არ გადახალასებული, ბევრს საბუთს და მოწმობას მოიპოვებდა, მრავალის ბნელის ადგილების შუქ-მოსათენად, რომ ცნობილი და გამოქვეყნებული იყოს ყოველი იგი ნაშთი ჩვენის განვლილის ცხოვრებისა, რომელიც დღეს კიდევ ზედ აჩნევია ჩვენთა მამა-პაპათა ხელთ-ნაქმართა და ჭკუით ნამოქმედართა. ეხლა ყოველივე ეს თვალთაგან მიფარებულია და დამარხულია მონასტერთა და ეკკლესიების კედელთა შორის და ანუ მონასტრისა და ეკკლესიების სალაროში. სხვა რომ არა ვსთქვათ რა, ყოველ ეჭვ-გარედ უნდა იყოს, რომ მონასტერთა და ეკკლესიების სალაროში მრავალი წიგნი კიდევ მოიპოვება. ჯერ მარტო დავით გარესჯის მონასტერში ასზედ მეტი წიგნი აღმოჩენილა და მათ შორის ზოგი იმისთანაა თავისის სიძველით, რომ ფას დაუდებელია. რამდენი სხვა ამისთანა მონასტერია ჩვენს ქვეყანაში და რამდენი წიგნი უნდა აღმოჩნდეს ამ მონასტრებში ვინ მოსთვლის.

კარგი იქმნებოდა და დიდს ღვაწლს გაუწევდნენ ჩვენს ძველ ლიტერატურის ისტორიას ცალკე და ცხოვრებისას საერთოდ, რომ ამ ძვირფასის განძის სიები, კატალოგები შესდგეს, თვითეულად აღნუსხულ იქმნას, რა წიგნია, ვისგან არის შედგენილი, რა დროს ეკუთვნის, რა ზედ-წარწერანი აქვს და მებრვე სხვა. რასაკვირველია, ეს შეუძლიანთ ღირსეულად შეასრულონ მარტო მათ, ვისაც ხელი მიუწვდებათ, ვინც ახლო უდგანან ამისთანა განძსა. ჩვენნი ბერმონაზონები და სამღვდელონი, რომელთაც აბარიათ სალარონი მონასტრებისა და ეკკლესიებისა დიდს ვალს დასდებენ ჩვენს ქვეყანასა, რომ ამ საჭიროებას ყურადღება მიაქციონ და რაც მათდამი მინდობილს სალაროში წიგნებია იმის სია, ანუ კატალოგი შეადგინონ, როგორც ვსთქვით და რომელსამე გაზეთში დაჰბეჭდონ გამოსაქვეყნებლად. გვერწმუნონ, რომ ეს დიდი და სასახელო საქმეა, დიდს და სასახელო სამსახურს გაუწევენ ამით ჩვენს ქვეყანას და თვით მეცნიერებასაც: ამ სიების შემადგენელთა სახელი ყოველთვის მადლობით მოიხსენიება შთამომავლობის მიერ.

არა ნაკლებ საქებნი და სადიდებელნი იქმნებიან ერის კაცნიც, რომელნიც არ დაიზარებენ და გამოაქვეყნებენ, სად და ვისთან ეგულებათ ქართული ხელ-ნაწერი წიგნები, გუჯრები, სიგელები და თუ ხელი მიუწვდებათ, ყოველ ამის სიას შეადგენენ და გადასცემენ რომელსამე გაზეთს დასაბეჭდად. ვიმეორებთ, ეს ამისთანა შრომა სრული არ იქნება, თუ გულ-მოდგინებით გამოძიებულ არ იქმნა და სიაში მოხსენებული თვითეული წიგნი, გუჯარი და სიგელი იმ მხრით, თუ რა წიგნია, რა გუჯარი, რა სიგელი, ვისგან არის დაწერილი, შედგენილი, თუ მიცემული, რა დროს ეკუთვნის, რა ზედ-წარწერანი აქვს და არის რამ შესანიშნავი მის გარეგანობაში, თუ არა.

ნუ ვინ იფიქრებს, რომ ეს ამისთანა შრომა დიდის მადლობის ღირსი არ იყოს და დიდად საქებურიც მისთვის, ვინც თავის სასახელოდ ამას იკისრებს და გულმოდგინებით შეასრულებს. დაგვიჯერეთ, ეგ დიდი საქმეა და დიდი სამსახურია ჩვენის ქვეყნის წინაშე.

ჩვენი გაზეთი ყოველთვის მზად იქნება დაბეჭდოს ყოველივე, რასაც ამ საგანზედ ვინმე მოაწვდის რასმე.

ახალი ამბავი

⁂ გაზეთ „მშაკში“ შემდეგი ამბავი სწერია ავაზაკ ჩოფურაშვილზე, რომელიც ამ ივლისის დასაწყისში მოჰკლეს: „ციმბირიდგან გამოქცეული ჩოფურაშვილი თურმე მივიდა თავის სოფელში და იქვე ახლო-მახლო ტყეში იმალებოდა. გაუგია თურმე, რომ მისი ცოლი სხვას მისთხოვებია, წასულა, ძალით წაურთმევია და წაუყვანია ორსული დედა-კაცი ტყეში. რამდენისამე ხნის შემდეგ ქალი ტყეში დაწოლილა და ყმაწვილი ჰყოლია. ამ ხანებში, აქ გზად ჩამოუვლიათ ერთს მღვდელსა და რამდენსამე კაცს, ჩოფურაშვილს ძალით შეუყენებია მგზავრები და მღვდლისთვის შვილი მოუნათვლინებია; შემდეგ ნადიმი გაუმართავს, გამასპინძლებია კარგად თავის ტყვეებს, მღვდლისთვის რამდენიმე მანათი უჩუქებია და გამოუსტუმრებია ყველანი.

⁂ ამ უკანასკნელს დროს ძალიან აიწია ტყის მასალის ფასმა, სწერს გაზ. „ახ. მიმოხ.“ მაგალითებრ, გაზაფხულის პირველ დღეებში რომ 150 მანათად იყიდებოდა ტივი, ეხლა ის ტივი 230—250 მანათი ჰღირს. კახეთის მამულში, რომელიც მთავრობამ შეიძინა, ამ ჟამად დიდ-ძალი შენობებია დაწყებული და ამის გამო ამას წინედ 120 ტივი უყიდნიათ ტფილისში და კახეთში გაუგზავნიათ. ამის შემდეგ ტივის ფასიც აწეულა, რადგანაც ძალიან ცოტა მოდის თურმე. ბორჯომის მამულში ერთბაშად ამდენს ხე-ტყეს ვერ მოსჭრიან და საციციანოს მთა-კი, მონაწილეთა რაღაც უსიამოვნებისა და ლაპარაკის გამო, აგერ ორი წელიწადია შეკრულია. ხე-ტყის გაძვირების დაგვარად აგურიც დაძვირებულა.

⁂ 20 ივლისს ტფილისის კრუჟოკის საზაფხულო სადგომში გამართული იყო საღამო. ამ დროს კბილის ექიმის ვოლფზონის 8 წლის ქალი თამაშობდა სხვა ყმაწვილებთან ერთად, თამაშობის დროს უკან-უკან წავიდა და წყლით სავსე აუზში ჩავარდა. კიდევ კარგი, რომ ვიღამაც ჩქარა დაინახა ეს ამბავი და ამოიყვანა წყლიდგან და საცვლებისთვის გაგზავნილი ძიძაც ჩქარა დაბრუნდა, თორემ შეიძლებოდა წყალში დასველებული ყმაწვილი გაცივებულიყო და ველარ გადარჩენილიყო. იქ, სადაც წევრებისთვის დიდ-ძალს ფულებსა ჰხარჯვენ, მათის შვილების უბედურებისაგან დასახსნელად რომ რამდენიმე მანათი დაჰხარჯონ და აუზებს მოაჯირები გაუკეთონ, რა ურიგოს იზამენო, ამბობს გაზ. „ტფილ. ფურც.“:—მით უფრო, რომ ამისთანა შემთხვევა პირველი არ არის და კვლავაც მომხდარაო.

⁂ გაზ. „მწყემსის“ სიტყვით, ყვირილაში ვიღაც კაცი გამოჩენილა, რომელიც ექიმობს და ბევრი ხალხი-

ფელეტონი

მსხლის ხე

(მოთხრობა ფრანგულიდამ)

(დასასრული*)

ჟაკელი წვერის წიწკნით დამიხვდა ქვემოდ, მაშინვე მივხვდი, რომ ეს კარგს არას მოასწავებდა.

— რა ამბავია, რა მოხდა, ჩემო ჟაკელო?

ჟაკელმა ჩიბუხის წევას თავი დაანება; არც წაიღო, არც წამოიღო და პირ-და-პირ მკითხა:

— განცხადება წაიკითხეთ, თუ არა?

— რა განცხადება? არა ვიცირა?

— ქალაქმა რომ განცხადება გამოსცა.

ამ ლაპარაკის დროს ისე კანკალებდა, რომ მეგონა სცივა მეთქი და შინ შევიპატიჟე.

— გმადლობთ, ბატონო მოძღვარო, არა მცივა.

და აქ მკლავით მოიწმინდა ოფლიანი შუბლი; მერე მითხრა მიზეზი თავის მოსვლისა: ქალაქის გამგე პირებმა გამოსცეს გეგმაო; იმაში ნაჩვენებია ის მამულები, რომლებიც რკინის გზისთვის უნდა შეისყიდონო; მამულების პატრონებიც არიან დასახელებულნი, მეც შიგა ვარ ჩაწერილიო. ეს არის ეხლა, ეკკლესიას რომ ვკეტავდი, ერთმა კაცმა დამანახვა მოაჯირზედ გაკრული განცხადება. რაღა ეშველებოდა ჟაკელს; პლანი ნახული ჰქონდა; ზედ იყო დანიშნული, საითკენაც უნდა გაეყვანათ გზა. მისი ხეც შიგა ჰყვებოდა; უნდა გამოსალმებოდა; თავ-ზარი დაეცა საბრალოსა. მოსთქვამდა ხოლმე: ჩემო ხევ!.. ჩემო საწყალო ხევ! დასტიროდა ისე, თითქო ცოლ-შვილი დაჰხოციაო.

მე დავუწყე ნუგეშის-ცემა; ჯერ ხომ სრულებით არ არის გადაწყვეტილი, ვინ იცის, როდის გათავდება ეს საქმე. იქნება ექვსი თთვე გავიდეს, იქნება წელიწადმაც გასტანოს? ამასობაში შეიძლება საქმეს უშველოთ რამე მეთქი. ჟაკელი ძალიან აღშფოთდა. „არა, ვითომ რას ვერჩი, რომ ვატყუებ? განა თითონვე არ წაიკითხა განცხადება? განა არ იცოდა, რომ მეხი დასცა ქალაქის თავმა და ტიბევმა. ესენი მუდამ ემუქრებოდნენ; ერთი იმიტომ, რომ ამორჩევის დროს კენჭი შავში ჩაუგდო და მეორე იმიტომ, რომ გაჯიუტდა და მამული არ მიჰყიდა. ტიბევის სახლი კი, რომელიც ამის სახლზეა მიკრული, ხელუხლებლად რჩება.

სულ გადირია! ბატონი ტიბევი არც ისე დამნაშავე იყო, როგორც ისა სწამებდა. ზეციერ მანანასავით მოელოდა, ერთი როდის შეისყიდიან ჩემს მამულს რკინის გზისათვისაო. ეს ყველამ ვიცოდით, მაგრამ ახლა ამას ვინ დააჯერებდა. ბოლოს მეც აღარა ვუთხარი რა, მხოლოდ ფულზედ ჩამოვუგდე ლაპარაკი. ნეტავი შენა, ოქროებს ბლომად ჩაიჩხრიალებ-მეთქი.

— იმდენს მოგცემენ, ჩემო ჟაკელო, რომ დიდს სასახლეს გადასჭიმავ.

— სასახლეს, ბატონო, სასახლეს!? შემომძახა ისეთის ხმით, რომელიც სიკვდილამდე არ დამავიწყდება, თუნდ მთელი სამფლობელო მომცენ: — თუნდ მთელი ქვეყანაც, მაინც ჩემი ხის მაგიერობას ვერა გამიწევს რა. ჩემი თვალის ჩინია, თვალისა, ჩემი მსხლის ხე. ჩემი ხე მოწამეა ჩემის სიხარულისა და მწუხარებისა; ამის ხელში დაიბადნენ და შემდეგ მიიცვალნენ ყველა ჩემიანები... მაგ ხის ქვეშ ბინდისას, საღამ-საღამობით, არა ერთხელ დაგვიწერია სხვა-და-სხვა სიტკბოებით და სიყვარულის ცეცხლით სავსე წერილები.

უბედური ჯავრით ირჩობოდა, მგონი ლაპარაკსაც ვერ დაასრულებდა, რომ მე არ მივშველებოდი.

მაშინვე ორივ ხელი დაუჭირე და ვცდილობდი დამემშვიდებინა... დამიჯერეთ მეთქი... რაც კი შემეძლო ყველა ღონის ძიება მოვიხმარე.. რომ იცოდეთ, იმისი აღელვება მეც გადამედო!.. აბა ხომ მოგეხსენებათ ჩემი მჭევრ-მეტყველობა!... ბოლოს ღმერთმა მიშველა, თუ როგორ იყო, ჟაკელი დაწყნარდა.

ყურს მიგდებდა და თანაც წვერს იწიწკნიდა, მაგრამ, საუბედუროდ, წამცდა თუ არა ტიბევის სახელი, ჟაკელი აღელდა, თითქმის გაგიჟდა, ყველას სიკვდილს უქადიდა.

მეტი გზა არ იყო კანონი მოვაგონე. ის შეჰკრთა. მართალია თვალში არ მოსდიოდა მაშინდელი მთავრობა, მაგრამ მაინც ჩაჩუმდა; ორიოდე ცრემლი გადმოუვარდა თვალთაგან, ბოდიში მოითხოვა, ბოლოს საწირავი ფულიც მომცა და თანაც მეხვეწებოდა, შემეწიე იმასთან, ვის ხელშიაც არის ეს საქმეო.

— შეგეწევი, ჩემო ჟაკელ, იმ პირობით კი, რომ არავინ მოჰკლათ!

შემომფიცა, სული არ წამიწყდესო, რომ ხელს არავის ვახლებო. გავათავეთ თუ არა სადილი, — კაი დროც იყო, რადგან კოლომბა ნასადილევზედ იძინებდა (იმას რომ შეეტყო, დამიშლიდა. ღმერთო ჩემო, რა ბოროტები არიან ეს დედა-კაცები!)... მაშინვე ჩავიცვი ახალი ანაფორა და გავსწიე ჩვენის ქალაქის უფროსთან.

იქნება ეს სულელობაც იყო ჩემის მხრივ, მაგრამ რა უნდა მექმნა. დამიჯერეთ, ჩემ ადგილას რომ ყოფილიყავით, თქვენც ასე მოიქცეოდით; საბრალო კაცი ფეხ-ქვეშ მივარდებოდა, მევედრებოდა... ისე მემუდარებოდა, ისე მეხვეწებოდა, თითქო მე ვიყავი ყველა გაჭირვებულის მკურნალი. მგონი თქვენც, ბატონებო, არ დაიზოგავდით თავს, წახვიდოდით ქალაქის უფროსთანაც, მის თანაშემწესთანაც და სხვებთანაც! აბა, რას გავაწყობდი! თქვენ თითონ მიხვდებით, მღვდელს რა ძალა აქვს, მერე პაწია ქალაქის მღვდელს? ისეთივე მნიშვნელობა აქვს, რაც მსხლის ხესა. როგორც კი დავიწყობდი ლაპარაკს ჟაკელის მსხლის ხეზედ, პირში დამიწყებდნენ დაცინებას.

ერთმა იმათგანმა, ღვთის წინაშე, კარგა მიმიღო, მართალია, ანაფორას როგორღაც მტრულის თვალით უყურებდა, მაგრამ მაინც და მაინც პატიოსანი კაცი იყო.

— დაბძანდით, ბატონო, ინებეთ ციგარა... ჯერ ხმაც არ ამომეღო, რომ ყველაფერს დამპირდა. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, მაგ ვაჟ ბატონების ხელობა ეს არის: ყველაფერს დაგპირდებიან და კი აღარას აგისრულებენ. ნახვის შემდეგ ერთს კვირასაც არ გაუვლია, რომ სასამართლოდამ შემდეგი წერილი მივიღე: „მოწყალეო ხელმწიფევ, დიდის მწუხარებით გაცნობებთ“... ბედ-

---

*) იხ. „ივერია“ № 158

ცა ჰყავს მიზიდულიო. სადაც დადის, წამლები თან დააქვს და სნეულებს აძლევსო, ხალხიც ძალიან ემადლიერება, თუმც-კი არ ვიცით, რამდენად იცის ამ კაცმა ექიმობაო.

⁂ ამავე გაზეთის სიტყვით, ყვირილის გზა, რომელზედაც გლეხებს ქვა-ნახშირი დააქვთ, მეტად გაფუჭებულიაო. «პირველად რომ შეჰხედოთ, ასე გეგონებათ, რომ ეს გზა უდაბური ადგილია და მასზედ არავინ დადისო; მხოლოდ აქა-იქა ჩავარდნილი შავი-ქვით დატვირთული ურმები და ზედ დასეული ხალხი გაგონებს, რომ აქ მეტი გზა არა ყოფილაო. ამიტომაც საკვირველი არ არის, რომ გლეხები ერთის ფუთის შავის-ქვის გადატანაზედ 28 კაპ. თხოულობენო.

⁂ გაზ. „კავკაზს“ შეუტყვია, რომ ივლისის 22 ავაზაკები დასცემიან რკინის-გზის „ბუდკას“, რომელიც ქიურდამირიდგან ორ ვერსტზეა: ავაზაკებს დაუჭრიათ რკინის-გზის „სტოროჟი“, მისი ცოლი მოუკლავთ და გაუტაცნიათ, რაც კი მოუხელთავნიათ.

⁂ წარსულს ორშაბათს წინანაურობის გამო ქალაქის ხალხი «ძველ-დამოჟნისკენ» გაიკრიფა. სასიამოვნო სურათს წარმოადგენდა მთელი ხარფუხის უბანი, დიდ-ძალი ხალხი მიდიოდ-მოდიოდა, ბევრნი იყვნენ ცხენოსნებიც, მთელი ღამე ზურნის ხმა მოისმოდა.

⁂ რუისის სკოლასთან უნდათ დააფუძნონ საერო საკითხავის წიგნების ბიბლიოთეკა. ამ სკოლის მასწავლებელი ნ. საძაგლიშვილი კარგა ხანია სცდილობს, რომ ეს კეთილი საქმე დაავგვირგვინოს. ამის მეცადინეობით და შრომით კიდეც შეუწირავთ ზოგიერთებს ფული და სხვა-და-სხვა ნივთები. მასწავლებელს ს—შვილს სხვა-და-სხვებისათვის მიუწერია წერილები და უთხოვნია, რომ რამე შემწეობა აღმოუჩინონ ამ სასარგებლო საქმეს ან ფულით, ან ნივთების შემოწირვით. მაგრამ დღემდის იმათგან პასუხი არ მიუღიათ, არ მიუღიათ იმიტომ კი არა, რომ შემწეობას ერიდებიან; არამედ იმიტომ, რომ დაავიწყდებოდათ. ეხლა მოვაგონებთ, რომ ნუ დაიშურებენ წვლილსა ამ კარგის საქმის ფეხზე დასაყენებლად.

ვისაც რისამე შეწირვა უნდათ ამ კეთილი საქმისათვის ფულით, თუ სხვით რითიმე, სთხოვენ მარიამობისთთვის ექვსამდე მიაწოდონ. ამ დღეს რუისში ფერის-ცვალებაა; ხალხი ბლომად იკრიბება და ამიტომ ჰსურთ გამართონ ლატარია შემოწირულის ნივთებისა. სხვა დროსთვის ლატარიის გამართვა ყოვლად შეუძლებელია; თუ ეხლა შემოწირულ ნივთების სიმცირის გამო ლატარია არ გაიმართება, მაშინ მეორე ფერის-ცვალებამდის დარჩება და საქმეს დაუგვიანდება.

დამაკვირდი!

ნამდვილი ტრფობა განა რა
სიტყვათ ეძებდეს, ვერ ჰპოვებს,
რათა გამოსთქვას თვის გრძნობა
და მისთვის ოხვრით მდუმარებს.
(თ. გრ. ორბელიანი)

—

მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსული,
რომლით ნათლდება ყოვლი გრძნობა, გული და სული.
(თ. ნ. ბარათაშვილი)

—

ძალი დავალს ღიმით ნაქცევთა ზედა,
სად სიმართლე მისგან შენარაზედა,
მისთ ყვავილთა ფერხით ლახავს გზაზედა,
რომელნი სჩვენებიან
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და სვეჭით.
(თ. ალ. ჭავჭავაძე)

—

სჯობს ყოლა უწვრთის ძაღლისა
უწრთველის შვილის ყოლასა.
(დავ. თ. გურამიშვილი)

—

კაცი სახელის მეძებნელი
უკვდავად შემორაცხია;
მკვდრად იგი თქმულა, ვის კაი
სახელი ზედ არ აცხია.
(მეფე ვახტანგ VI)

—

გატეხილს ჭურჭელს მიჰგვანნი
არ ერწმუნების იცითა;
ცრუს კაცსა საიდუმლონი
არ ეთქმის, მითქვამს ფიცითა.
(მეფე არჩილი)

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ჯგილათი. (შორაპნის მაზრა), სოფელი ჯგილათი მდებარეობს დაბა ყვირილის მახლობლად, თოთხმეტის ვერსის სიშორეზე. ეს სოფელი, როგორც თავის მდებარეობით, აგრეთვე მოსავლითაც ერთ უკეთესს სოფლად ითვლება ზემო-იმერეთში. აქ აყენებენ მშვენიერს ღვინოსა; ჰირნახული ბლომად მოდის. აქ სცხოვრებენ ხუთმეტ მოსახლემდე აზნაურნი საყვარელიძენი და დანარჩენი გლეხები არიან; აქაურები შეძლებული ხალხია. უფრო შეძლებული იქნებოდა ეს სოფელი, რომ მცხოვრებთ სცოდნოდათ მიწის რიგიანად შემუშავება. აქ გარდა სიმინდისა და ღვინისა თითქმის არაფერი მოჰყავთ; ნიადაგი ერთობ მსუქანი და ნოყიერია; ხალხი ამის იმედზეა და ამისათვის მსუბუქად მუშაობენ, თორემ მეურნეობის მცოდნე კაცის ხელში აქაური ნიადაგი ათჯერ მეტს სარგებლობას მოუტანდა, ვიდრე ეხლა მააქვს.

ყველა კარგი, მაგრამ აქაურს ხალხს, წარმოიდგინეთ, რომ სკოლა არა აქვს. ერთმა ამ სოფლის მცხოვრებმა მითხრა: „როგორც გავიგეთ, ბ-ნი რ...დენ ნიკოლოზის-ძე ჩიკვაიძე, რომელმაც ქუთაისის გიმნაზია გაათავა და შემდეგ ერთ-ერთს რუსეთის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად იყო, აპირობს ამ სოფელში კერძო სკოლის გახსნასაო. თუ ეს მართალი გამოდგა, დიდის მადლობის ღირსი იქნება ბ-ნი ჩიკვაიძე; ჩვენც ჩვენის მხრით უკანასკნელ პერანგსაც არ დავიზოგავთ, რათა მას აღმოუჩინოთ ამ საქმისათვის ჯეროვანი შემწეობაო; ყველანი დიდის აღტაცებით მივიღებთ ამ ნაირს ჩვენთვის წარმატების მოსურნე პირსაო.“

თვითეულმა ოჯახის უფროსმა აზნაურმა იცის ყოველ-გვარი ქართული გალობა და წირვის წესი, ესენი ასწავლიან თავიანთ შვილებს, ცოლებს და სხვებსაც, ასე რომ ორივე სქესის ყმაწვილებმა, რვა წლიდგან მოკიდებული, იციან ყოველ-გვარი ქართული საგალობლები, იციან კარგად და ზედ-მიწევნით. სასიამოვნო ის არის, რომ ძველის ქართულის გალობის კილო ისევ დაცულია. მე, ამ სტრიქონების დამწერი, ვიყავ ამ სოფელში და გავიგონე ამ სასიამოვნო გალობის ხმა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება იქონია ჩემზედ.

სასურველია, რომ ჩვენს ქვეყნებში ასე ყოფილიყოს დაცული ქართულის გალობის კილო, რომელიც შეადგენს ქართველების ერთ უკეთეს მამა-პაპეულს ნაშთთაგანს!

ამ სოფელში სტუმრის მოყვარე ხალხია; სტუმარი შევა თუ არა სახლში,—სწამთ აქაურებს,—ანგელოზიც თან შეჰყვებაო. ამიტომაც ისე არსად სცემენ პატივს სტუმარს, როგორც აქ, ჯგილათში. ამ გვარი სტუმრის პატივის-ცემა სხვა სოფლებში იშვიათია.

ს. ჩხერელი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ამას წინად პოლტავის გიმნაზიის ერთმა მასწავლებელმა დაბეჭდა პატარა წიგნი, რომელშიაც მოჰყავს დაწვრილებით თავის შემოსავალ-გასავლის ანგარიში. ამ ანგარიშიდამ სჩანს, რომ შემოსავალი აღემატება გასავალს, თუმცა მთელი ეს გადანარჩენი წელიწადში სამს აბაზზე ზემოდ არ ადის და მაშასადამე ას წელიწადშია ექვს თუმანზე მეტს თანხას ვერ შეადგენს.

ამ წიგნის გამო აი რასა სწერს გაზეთ „Псковскій Листокъ“-ში ერთი სამაზრო სკოლის მასწავლებელი.

> ჰკითხულობ ამ წიგნსა და გეცინება. გეცინება და თანაც ცრემლებით თვალები გევსება, როდესაც „სამაზრო სკოლის“ მასწავლებლის სიღარიბეს წარმოიდგენო.

მეც ერთი ამ მასწავლებელთაგანი გახლავართო, ამბობს წერილის ავტორი, და ამასთან ცოლი და სამი მცირე-წლოვანი შვილი თავს მახვევიაო, ჯამაგირი კი წელიწადში სულ 343 მაქვს; თთვეში 28 მანეთი და 58 კაპ. როგორ უნდა მოვაწყო ჩემი ცხოვრება, რომ ამ ჯამაგირით ცოლ-შვილი ვაცხოვროვო?

> სულიერ მოთხოვნილებაზე, ჭკუის საზდოზე, გონების საჭიროებაზე მე არც კი ვფიქრობო, ამბობს ავტორი, ჩვენისთანა კაცს ამეებს ვინ აღირსებსო; მე მხოლოდ დღიური საზდო, „პური არსებისა,“ მაქვს სახეში, ერთის სიტყვით ის, რაც „ჩვენის ცოდვილის სხეულისთვის“ ყოველდღიურს და აუცილებელს საჭიროებას შეადგენსო.

ამ მოთხოვნილებათა მიხედვით უვარაუდნია ავტორს და დაწვრილებით შეუდგენია გასავლის ანგარიში «სამაზრო სკოლის» მასწავლებლისა, რომელსაც სახლში ცოლი და სამი შვილი ჰყავს. აი ეს ანგარიშიც.

სახლის ქირა წელიწადში 60 მან.
გათბობა მთელის სახლისა. . 24 —
განათება . . . . 3 მ. 20 კ.
წყლის მომტანს თვეში 50 კ. წელიწადში სულ . . . . . 6 მან.—
საჭმელზე დღეში 50 კაპ. (თუ ნაკლებს

კრულო, ჯაკელ! ეტყობა, რკინის გზისთვის აუცილებლად საჭირო იყო შენი მსხლის ხე, წამოვიძახე მე.

განა მოელოდა, საბრალო, რომ ასე წავიდოდა საქმე? მე ველარ მოვისვენე, სული ამიშფოთდა. ღვთის წინაშე, კაცმა უნდა სთქვას, რომ ჯაკელის თხოვნა სამართლიანი იყო.

— მოძღვარო, მაპატიეთ, რომ შეგაწუხეთ.

მეტი აღარა მითხრა-რა. მე ვურჩიე უმაღლეს სასამართლოში გადაეტანა საჩივარი; იქნება კიდევ გამობრუნდეს საქმე მეთქი. ჯაკელმა მხრები აიწია, შევატყე ამის თქმა უნდოდა: «რა გამოვა? ალბად ღვთის ნება ასრეაო!»

ბოლოს მაინც ჩემს რჩევაზე გაიარა; ზაფხულში ხან ერთის და ხან მეორე სასამართლოს კარებთან ვხედავდი ხოლმე. ერთხელ დამეთხოვა, ომნიბუსით სადღაც წავიდა და კი არა მითხრა-რა. მეორე დღეს, როცა დაბრუნდა, შევამჩნიე, რომ აღრინდელივით ხალისიანად ლაპარაკობდა თავის ხეზე. აღარც კლავინდებურად წვერს იწიწკნიდა.

მართლადაც ხმა დაჰყარეს, ვითომ რკინის გზა სხვა მხრივ გაჰქავთო, ლაპარაკიც იყო გვირაბის გაკეთებაზე; ერთის სიტყვით, მსხლის ხის იღბალი წალმა დატრიალდა. უნდა მოგახსენოთ, რომ კოლომბას და მომეტებულ ნაწილს ადგილობრივ მცხოვრებლებისას როგორღაც არ ეპაშნიკათ ეს ამბავი. ისინი თავიანთებურად უყურებდნენ საქმესა. ჯაკელს მტერი ბევრი ჰყავდა. ერთს საღამოს, როდესაც ყმაწვილებს სალმთო წერილს ვასწავლიდი, კოლომბა მხიარულის სახით შემოვიდა ჩემთანა.

— იცით, ბატონო, რა ამბავია?

სიხარულით მიამბო, რომ გვირაბის გაყვანას სულაც არ აპირებენო, პირ-იქით მმართებლობა აცხადებს, რომ გაზაფხულზედ შეუდგებით მუშაობასაო და უენო ბატონის ამპარტავნებას დღეგრძელობა მოაკლდებაო.

დიდხანს არა მჯეროდა, მაგრამ საძაგელმა კოლომბამ დაწვრილებით იცოდა ყველაფერი; ისიც კი იცოდა, რამდენი ფულიც იყო გადადებული მიწების შესასყიდად; იცოდა ყოველი მიწერ-მოწერა და ინჟენერების სჯა ამ საგანზედ. მე სად მეცოდინებოდა? მეტი გზა არ იყო, დავიჯერე.

მეორე დღეს ჯაკელი გვიან მოვიდა საყდარში. ეს თავის დღეში არ მოსულია. კვირა დღე იყო, მარიამობისთვის 24, კარგა მახსოვს ეს დღე, რადგან ჩემის მფარველის, მოციქულ ბართოლომეის დღესასწაული იყო. ამ დღეს ყოველთვის ჯაკელი ყვავილების მაგივრად მომიტანდა ხოლმე კალთით ერთი ოციოდე ნაყოფს თავის მსხლისასა.

ეხლაც მომიტანა, მაგრამ ვაი იმ მოტანას! არც სალამი მომცა, არც მომილოცა; სწორედ მკვდარის სახე ედო. შევატყე და მეც კრინტი არ დამიძრავს.

გავათავე თუ არა წირვა, ველარ მოვითმინე, და ვუთხარი, რად დაიგვიანე-მეთქი, უგულოდ რად ეკიდები სამსახურსა-მეთქი. მოვუყევი ქადაგებას; ჯაკელმა არ დამასრულებინა:

— მაშ გიშოვოთ, ბატონო, სხვა მნათე?

— რადა, ჩემო ჯაკელ.

— იმიტომ რომ....

აღარ დაასრულა სიტყვა და სწრაფად გასწია შინისაკენ.

მე მეგონა ჭკნი გადუვლის და დაბრუნდება-მეთქი. საუბედუროდ ის იყო და ისა, იმ დღიდამ შინიდამ კარზედ აღარ გამოსულა; გზიდამ ვხედავდი, როგორ უვლიდა თავის მსხლის ხესა, ტოტებს აკვეცდა, ძირს უსუფთავებდა, ქიებს აცლიდა; არ დაიჯერებთ, ისე ეალერსებოდა, როგორც ღვიძლს შვილსა. ღამეც კი თოფით გვერდზე უწვა და უყარაულებდა, მერე რა დიდი ტყვიით იყო გატენილი ეს თოფი! ერთი ტყვია ტიბევსაც მოარტყა ტანისამოსში, როდესაც ის თავის მეზობელთან შესულიყო. ეს მოულოდნელად მოხდა, შიშით გაესროლა თოფი, ეგონა ეს-ეს არის ჩემს საყვარელს ხეს მართმევენო. ამ ამბავის შემდეგ გზა სრულებით შეჰკრა, ახლომახლო აღარავის აკარებდა; მეპურე მოაჯირიდამ აწოდებდა ხოლმე პურსა.

მე ხან-დის-ხან ნუგეშის საცემლად მივდიოდი; მეც არ მიღებდა კარსა. დაგროვილ ქვებზედ შევდგებოდი ხოლმე და ზეციურ პურს ვაწოდებდი, ვცდილობდი როგორმე მომექცია.

დიაღ, როგორ არა, მოვარჯულებდი-კი აი! პირ-იქით ის უფრო შფოთავდა. ჯერ თითქო ყურს დაუგდებდა ჩემს ლაპარაკს, მაგრამ ვახსენებდი თუ არა, რომ ნუგეშინის, ღმერთი მოწყალეა-მეთქი, ერთი საშინლად გაბრაზდებოდა ხოლმე:

— სულაც არ არი ღმერთი მოწყალე! დამეხსენით; არა, ღმერთი სულაც არ არის მოწყალე! ზოგჯერ დამშეიდდებოდა და ძველებურად ქუდს მომიხდიდა ხოლმე. ჯერ კიდევ სრულს გონებაზე იყო.

მაგრამ საბრალოს დღითი დღე ჭკუა აკლდებოდა. ხალხი სიმთვრალეს აბრალებდა, თუნდ ნაღველი, თუნდ სიმთვრალე ყოფილიყო მიზეზი, საქმე კი აგრე იყო. როდესაც სააღდგომოდ დააპირეს მიწების ჩამორთმევა რკინის გზის გასაყვანად, ყველა დარწმუნდა, რომ რამე უბედურობა მოხდებაო.

მართლადაც, ვინც პირველად გაუხსენა ჯაკელს სახლის დაცლა, დაემუქრა, მოგკლამო. საქმე კეთილს არას მოასწავებდა. მთხოვეს, დარიგება მიეციო, მაგრამ ვერა გავაწყერა; პირ-იქით უფრო გახელდა და გაშმაგდა.

— ვინა სთქვა, რომ ღმერთი მოწყალეაო? სულაც არა და არა! ბოლოს მოვიდა ჩვენი მმართველიც, იმას ეს ამბავი ხუმრობა ეგონა, მერე ბრძანა:

— მომგვარეთ ეხლავე ჟანდარმებიო!

კარგა ბინდი იყო, როდესაც ჟანდარმების ვეებერთელა ქუდები დავინახე. იმათი შესვლა სახლში და ჯაკელის თავის ჩამორჩობა მსხლის ხეზედ ერთი იყო».

⁂

აბბატმა პულიარმა ხმა მაღლა მოიხოცა ცხვირი, ხელის-სახოცი ჩაიდო ჯიბეში, მერე ბურნუთის კოლოფი ამოიღო; ხან გააღებდა, ხან დახურავდა. ბოლოს ხმა-მაღლა წამოიძახა:

— მე მაინც სიკეთე ვუყავ იმ საწყალ კაცს; ღმერთი ბრძანებს: «აპატიეთ სხვებს, რომ თქვენც გეპატიოთო».

— ბოლოს დაუმატა კმაყოფილებით აღსავსე მღვდელმა,—დახეთ რა ნაირნი არიან დედაკაცები, კოლომბას მას აქედ მსხლის გემო არ უნახავს.

ან. თ—ისა

დაჰხარჯავთ, ისე გაჰხდებით, რომ წელს ვეღარ აიტანთ), მაშასადამე წელიწადში 180 მ. ტანთ-და-ფეხთ-საცმელი და ამათი დაკერება (უამისოდ ვერ მოხერხდება) წელიწადში. . . . . 80 მან.—
ექიმი და წამალი . . . . 1 82½ კ.
არაყი და 24 წვრილი თევზი, თითო-თითო შაურიანი (ამხანაგებისა და ნაცნობების დასაპატიჟებლად დღეობაში, და ან სხვა დღესასწაულს დღეში; ამ ხარჯსაც ვერსად წაუხვალ, თუ არ გინდა, რომ ლიბერალად ჩაგთვალონ) წელიწადში ამაზედაც წავა . . . . . 4 მ. 20 კ.

ამ სახით მთელს გასავალს რომ თავი მოუყაროთ, წელიწადში 357 მანეთი და 72½ კაპ. შესდგება, ე. ი. გასავალი წლიურს ჯამაგირს აღემატება 14 მან. და 72½ კაპ.

საქმეს ასე მოახერხებ და მოაგვარებ მხოლოდ მაშინ, თუ ჩაი და თამბაქო ისეთ მცენარეებად ჩაითვლება, რომელნიც კაცის წარსაწყმედად არიან გაჩენილნი და თუ ცოლი ერთსა და იმავე დროს, მზარეულიც არის, მკერვალიც, მოსარეცხეც, ძიძაც და კიდევ სხვა ამ გვარის მოვალეობის აღმასრულებელი. თუ ამასთან კიდევ ყოველ წელს ოჯახს ახალი წევრი შეემატა, მაშინ რაღა ქნას საწყალმა მასწავლებელმაო? ამბობს ბოლოს წერილის ავტორი.

ჩვენის ფიქრით ამ გაჭირვებას მხოლოდ ორის გზით ეშველება: ან გაჭირვებულმა მასწავლებელმა გამოჩენილს ამერიკელ ტანნერს მიჰბაძოს და ორმოც დღეობით იმარხულოს, ან არა და ღვთის განგებას მიენდოს მოთმინებით, რადგანაც მოთმინებით თუ ხორცს არა, სულს ხომ მაინც მოიპოვებს!

⁂

ჟურნალ «Историческій Вѣстникъ»-ში დაბეჭდილია რამდენიმე საყურადღებო ამბავი წარსულის რუსთ-ოსმალ ომის დროიდამა. მოგვყავს აქ ერთი ამბავი.

ოცი ჯარის კაცი სამის თვით სადღაც იყვნენ გაგზავნილნი. როდესაც ჯარში უკანვე დაბრუნდნენ, პოლკოვნიკმა ჰკითხა:

— ჯამაგირს ხომ იღებდით ამ სამს თვეშიო?

— არა, თქვენო აღმატებულებავ.

— სხვა სურსათს ხომ გაძლევდნენ?

— არა, თქვენო აღმატებულებავ, არც სურსათი მიგვიღია.

— მაშ რითა სცხოვრებდით?

ჯარის კაცნი ხმას არ იღებდნენ.

— ხმა ამოიღეთ, თქვენა გკითხავთ: რით იკვებებოდით-მეთქი?

— ვცდილობთ, თქვენო დიდებულებავ!

უცხოეთი

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. ახალის სამინისტროს საქმე უკვე დამკვიდრდა; რაც სამძიმო ალაგები და ძნელი თანამდებობა იყო დასაჭერი, უკვე დაჭერილ იქმნა. გარტინგტონს არც თავადა აქვს სურვილი კონსერვატივების სამინისტროში შესვლისა, და არც თვით ტორიები ესვეწებიან, რომელიმე ალაგი დაიჭირე ახალს სამინისტროშიო. კონსერვატივების გამარჯვებამა და სალისბერის გამთავარ-მინისტრებამ ბევრ-ნაირი მითქმა-მოთქმა გამოიწვია გაზეთებ შორის. ნემეცური გაზეთები შინაგან საქმეთა გამო სხვა-და-სხვა მიმართულებას ადგენან, დასებად არიან დაყოფილნი, მაგრამ გარეშე საქმეთა შესახებ კი ყველაფერს ისე ლაპარაკობენ, როგორც თ. ბისმარკსა ჰსურს და იამება. აქ ყველა თანხმაა და ყველას სიხარულის ღიმილი მოსდის, როცა ჰხედავს, რომ სალისბერის მომხრეებმა გაიმარჯვეს ინგლისში. სალისბერიმ რაკი გაიმარჯვა, ევროპას მშვიდობის იმედი (?) უნდა ჰქონდესო.

რადგანაც სალისბერი არავითარს მეგობრობას არ გაუწევს საფრანგეთსაო.

ზოგიერთი გაზეთები კიდევ იმას ამბობენ, რომ სალისბერის სამინისტროს შედგენა და შუღლის ჩამოვარდნა რუსეთსა და ინგლისს შორის ერთი იყოვო. ავღანისტანსა და რუსეთის სამზღვრის დამდებს კომისიას უთანხმოება ჩამოერიაო. ამას რასაკვირველია მიაქცევს თავის ყურადღებას სალისბერის სამინისტროვო. ამას გარდა კორეიის პორტის ლაზარევის დაჭერა უნდა რუსეთსაო და ესეც არ მოეწონება კონსერვატიულს მთავრობასაო, თუმცა თავად კი შარშან ხელში ჩაიგდო ისეთი პორტი, როგორიც ჰამილტონიაო...

— ვერაფერი საქმე მოსდის შესანიშნავს პოლიტიკურს მოღვაწეს სერ ჩარლზ დილკს. ინგლისს დიდი იმედი ჰქონდა ამ მოღვაწისა და ჰგონებდა, რომ ოდესმე მთავარ-მინისტრად გამოგვადგებაო. მაგრამ, მასუკან, რაც სამართალს გადაეცა დილკის ტრფიალებისა და დონ-ჟუანობის საქმე, ამ მოღვაწის ბედი, თუ სულ არა, დროებით მაინც გაშავდა. ინგლისელები საკვირველის ზნის ხალხია: თუ მცირე რამ შენიშნეს კაცს, თუნდა კერძო ცხოვრებაშიაც-კი, ისეთი რამ, რაც იმათის აზრით, ეწინააღმდეგება ზრდილობასა და მართებულობასა, გათავდა!—იმ კაცის იმედი ნუღარ ექმნება, რომ ხალხი და საზოგადოება ენდოს და საზოგადოებრივის მოღვაწეობის მოედანზე წინ წასწიოს. ქალებმა დაჰკლუპეს დილკიო, ქალებმავე დაჰკლუპეს გამბეტაო, ისე როგორც ბევრი სხვა მოღვაწე დაიღუპა მშვენიერის სქესისაგან, რომელსაც სიყვარული და გულის თქმანი ურჩევნიან ყოველ გვარს საქმეს, საზოგადო იქნება, თუ სახელმწიფო, ურჩევნიან მთელს ქვეყანას, თვით სამშობლოსაცაო.

— ირლანდიას განუზრახავს ძეგლი აუგოს გლადსტონსა. ეს ძეგლი უნდა იყოს მადლობის ნიშანი იმ ერთად-ერთის ბრიტანიის სახელმწიფო მოღვაწის მამართ, რომელიც ითხოვდა, სიმართლით მოექეცით ირლანდიის ერსაო. ამ აზრით ყველგან სიებია თურმე დარიგებული შესაწირავთა მოსაგროვებლად. ძეგლი უნდა აგებულ იქმნას დუბლინში იმ შენობის წინ, სადაც ოდესმე ირლანდიის პარლამენტი მოღვაწეობდაო.

— ამერიკის ერთს ქალაქში კრება ყოფილა ირლანდიის თვით მმართველობის მომხრეთა და პალატის წევრს ფინერტის უთქვამს, რომ კიდევაც ნუ შევწყვეტავთ და ფულს ვუგზავნოთ პარნელსაო, ვიდრე სრულიად არ დავკარგავთ იმედს, რომ ჩვენი აზრი განხორციელდებაო. ხოლო თუ იმედი დავკარგეთ, უფრო მოუმატოთ ფულის გზავნასა, მაგრამ არა საპარლამენტო საჭიროებისათვისაო.

ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲐ. ბოლგარიამ თავისი საქმე კარგად მოიმარჯვა, თუ ბოლოც ისე კარგად გაატანა, როგორც პირველშივე დაიწყო, ესე იგი თუ მოახერხა და რუმელიის შემოერთება შეაწყნარებინა ევროპასა. უნდა ყური დავუგდოთ აგრეთვე, როგორ გათავდება კაპიტანის ნაბაკოვის საქმე, რომელსაც დაჰბრალდა შეთქმულობის მეთაურობა მთავრობის წინააღმდეგ და რომელიც რუსეთმა თავის მფარველობის ღირსად სცნო. ამას გარდა ბევრი სხვა საფათერაკო საქმეც მოდის. მაკედონიაში მღელვარეობს ხალხი და ამ ღელვარებას ბოლგარების მოღვაწეობას აბრალებენ.

სამინისტროც ბოლგარიისა ვერ არის თითქო რიგიანად დამკვიდრებული. ხმა არისო, ამბობს გაზეთი „Temps"-ი, რომ გარეშე საქმეთა მინისტრად დაინიშნება ექიმი სტრანსკიო, გამოჩენილი მოთავე რუმელიისა და ბოლგარიის შეერთებისაო, მაგრამ დიპლომატიური აგენტები წინააღმდეგნი არიან ამისიო. კანდიდატებად ასახელებენ აგრეთვე ექიმს ტომაკოვსა და დმიტროვსაო. პირველმა თავის ექიმობის მეტი არა იცის-რა და მოხუცებულიც არისო. მეორე კი ძრიელ სუსტი ხასიათისაო, ისე რომ უთუოდ კარაველოვის ყურ-მოჭრილი ყმა იქმნება, თუ მართლა ეს კაცი დაინიშნა გარეშე საქმეთა მინისტრადაო.

— ვენაში მისვლიათ ამბავი, რომ ბოლგარიის მთავრობამ სრულიად აღკვეთა ხმარება რუსეთის მანათიანისაო.

ᲡᲔᲠᲑᲘᲐ. უკანასკნელმა არჩევანებმა ცხადად დაამტკიცა, რომ სერბიას აღარა ჰსურს გარაშანინის პოლიტიკაო. ახალ სკუპშჩინაში მოწინააღმდეგეთა რიცხვი სამს დასად არის გაყოფილი და ძნელი სათქმელია, რომ უმრავლესობა შესძლებს გარაშანინის დასამარცხებლადაო. გაზეთი „Temps"-ი ამბობს, რომ თუ პარლამენტის წესით ვერ მოახერხეს ესა, სხვაფრივ მოახერხებენო და, ვინ იცის, იქნება ამ დროს თვით ტახტიც კი ობრენოვიჩებისა შეირყესო.

ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ. ოსმალეთის მთავრობას მუხთარ-ფაშა დაუნიშნავს სერდართ-მთავრად მცირე-აზიაშიო. ამას გარდა ხმა დადის, რომ დიდი ვეზირი ქიამილი ფაშა სამსახურს თავს ანებებსო.

— ამბობენ, ვითომ ოსმალეთი აპირობს კავშირი შეჰკრას ევროპის რამდენსამე სახელმწიფოსთანაო, მაგრამ ეს მართალი არ არისო, ამბობს სტამბოლელი კორრესპონდენტი გაზ. „Presse"-ისა. ხონთქარი წინანდელს თავის პოლიტიკას არ უმტყუნებსო, გადაწყვეტილი კი აქვს, ყური უგდოს კარგად ყოველ-გვარ საპოლიტიკო საქმეებსაო.

—რუსეთის სახელმწიფო ძალიან ემდურის ალექსანდრე მთავარსაო. ეს გარემოება ძალიან აფიქრებს ოსმალებსაო. მაგრამ ვინც მცოდნე არის პოლიტიკისა, ისინი ამბობენ, რომ ეს ამბავი არავითარს უბედურებას არ მოასწავებს ბოლგარიისათვისაო.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

ბატონო რედაქტორო!

ჩემის თავ-მოყვარეობისა და პატივის დასაცველად უმორჩილესად გთხოვთ გამოაცხადოთ „ივერიის" ერთს მახლობელს ნომერთაგანში შემდეგი ჩემი თხოვნა:

რადგანაც ბათუმელს ქართველებს ჰგონიათ, რომ ვითომც მე ვიყო დამწერი იმ კორრესპონდენციისა ბათუმიდგან, რომელიც იყო დაბეჭდილი «ივერიის» 154 ნომერში, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ რიგისამებრ გამოაცხადოთ თქვენს გაზეთში, რომ არც ის კორრესპონდენცია, არც «ახალ ამბავში» ბათუმიდგან ცნობა ჩემი მოწერილი არ არის.

თქვენის წარმატების მსურველი, უმორჩილესი თქვენი მოსამსახურე მ. ნათაძე

1886 წ.
ბათუმი, 18 მკათათვეს

---

*) ჩვენ ჩვენის მხრით გამოწმებთ, რომ არც ზემოხსენებული კორრესპონდენცია და არც „ახალ ამბავში" მოხსენებული ცნობა ბ-ნ მ. ნათაძის მოწერილი არ არის.
რედ.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

კატალოგი დავით გარესჯის უდაბნოს ძველის ხელთნაწერის წიგნებისა, შედგენილი 4-ფებერვალს 1886-ს წ.

1 „სახარება", ხუცური ასო მთავრულით ტყავზედ ნაწერი, უდაში მეორედ შეკრულია 1070 წ. და სულ 432 გვ. in 8.

„მათეს სახარების თარგმანება", ტყავზედ ნაწერი, 618 გვ. in 8.

„სახარების თარგმანება" ტყავზედ ნაწერი, in folio

„მამათ ცხოვრება" ტყავზედ ნაწერი, in folio..

„მარხვანი" ტყავზედ ნაწერი, in f.

„სვინაქსარი" ტყავზედ ნაწერი, in f.

„სახარება", ტყავზედ ნაწერი, in 8.

„სწავლა მონაზონთა" ტყავზედ ნაწერი, in 12.

„დავითნის თარგმანება", ტყავზედ ნაწერი. in 12. სულ 36 რვეულია, არის 514 გვ. უნდა იყოს 576 გვ. დაწერილია 1035-ს წ.

10. „საწელიწადო საწინასწარმეტყველო" ტყავზედ. სულ 608 გვ. დაწერილია 1085 წ.

„სახარება" ტყავზედ ნაწერი, თავი და ბოლო აკლია.

„სადღესასწაულო", ბოლოა მარტო, ტყავზედ.

„ლავსაიკონი" ოქროპირისა ტყავზედ, 378 გვ. in folio.

„მეტაფრასი", ტყავზედ, 510 გვ. in folio.

„სამოციქულო", თავი ქაღალდზედ, ბოლო ტყავზედ.

„მარხვნის საკითხავები", ტყავზედ, თავი და ბოლო აკლია.

„სვინაქსარის და სახარების თარგმანების" ფურცლები, ტყავზედ.

„დიდმარხვის კვირიაკეთა სახარებების თარგმანება", ტყავზედ.

„კლემაქსი", ტყავზედ, 680 გვ. in 8. დაწერილია 1066 წ.

20. „მეტაფრასი, ანუ დამასკელი" გრიგოლისა ტყავზედ 502 გვ. in 16.

„მარხვანი" ტყავზედ, in 8.

„ჟამნ-გულანი", in 12. თავი აკლია (ამის ქვეით ქაღალდზე ნაწერებია)

„მეტაფრასი" დიდი.

„სადღესასწაულო" in f. დაწერილია მოსკოვს 1742 წ.

«სახარება» in 8.

«დოგმატიკა« in f. 572 გვ. მხედრულად ნაწერი.

«ქართველთ წმიდათა ცხოვრება» in f. ნაკლულია.

«დავითნი» in f.

30. «ტიბიკონი საბას ლავრისა» in 8. 266 გვ.

«ტიბიკონი სრული, რუსულიდგან ნათარგმნი» in f. 868 გვ. პასხალიით.

„ქართველთ წმ. მეტაფრასნი და საგალობელნი". in f.

„სტოდიერი". 228 გვ. in f.

„სწავლანი ეფრემ ასურისა". in f. 1150 გვ.

„ცხოვრება იოანე სინელისა" in f. 688 გვ.

„იოანეს სახარების თარგმანება". in f. 572 გვ.

„ხრონოგრაფი" in 8. 488 გვ.

„ხრონოგრაფი" in. f. 734 გვ.

«ცხოვრება მაქსიმე აღმსაარებელისა». in f. 340 გვ. მხედრულად ნაწერი

«დიონოსიოსის ცხოვრება და შრომანი» in f. 508 გვ.

40. «მეტაფრასი საზოგადო» in f.

„მეტაფრასი" in f.

„გრდემლი" in 8. 360 გვ. მხედრულად ნაწერია ბესარიონ კათალიკოზისა.

„გრდემლი" in 8. 368 გვ. ხუცური იმისავე.

„ტიბიკონი" და საგალობელი.

«ცხოვრება გრიგოლ ღვთის-მეტყველისა, in 12. 92 გვ.

«სახარება და სამოციქულო.»

„სტოდიერი" in 8. 476 გვ. ბოლო ტყავზედ ნაწერი აღაპებით.

„სტოდიერი" in f. 1460 გვ.

«მოთმინებისათვის» სწავლა ეფრემ ასურისა in f. 732 გვ.

50. «მამათა ცხოვრება» in f.

«ქართველთ წმიდათა ცხოვრება და საგალობელნი» in 8. 748 გვ.

«ცხოვრება და შრომანი გრიგოლ ღვთის მეტყველისა» in f. 652 გვ. მხედრ.

„წიგნი ლაღადებისა" iu 8. 1222 გვ. მხედრულად ნაწერი.

«მამათ ცხოვრება» in f. 634 გვ.

„მათეს სახარების თარგმანება in 8.

„ლავსაიკონი" in f.

„ტიბიკონი საბას მონასტრისა", in 8.

«ათორმეტ წმიდათა ცხოვრება» in 8 408 გვ.

„ცხოვრება მაქსიმე აღმსარებელისა", in f. 334 გვ. მხედრულად ნაწერი.

60 „ითიკა ვასილი დიდისა" in f. 534 გვ. მხედრულად ნაწერი.

«მარკოზის სახარების თარგმანება», in f. 122 გვ. მხედრულად ნაწერი.

„კლემაქსი" in 8. 702 გვ.

„ჟამნი-ლოცვანი" in 8.

«კანონნი წმ. მოციქულთა და კრებათა» in f. 548 გვ.

„ბერძული ღრამატიკა", in 16 492 გვ. 1724 წ. დაბეჭდილი.

„მიუწდომელობისათვის ღვთისა" იოანე დამასკელისა, in 8. 1744 წ. დაბეჭდილი მოსკოვში.

„მიუწდომელობისათვის ღვთისა" მისივე in f. 196 გვ. ხუცური ხელ-ნაწერი.

„სჯულის კანონი" in 16. 372 გვ.

„კავშირი" პროკლე დიადოხოსისა, in 16, 380 გვ. მხედრულად ნაწერი.

70. „მექვსე კრების კანონი" in 16, 376 გვ. მხედრ.

„იოანეს გამოცხადების თარგმანება" in 16. 270 გვ.

„დიალექტიკა" in 16, 226 გვ. მხედრ.

„წიგნი საზღვართა" in 16, 152 გვ. მხედრ.

„ქართული ღრამატიკა" გაიოზისა, in 16. 1789 წ. დაბეჭდილი კრემენჩუგს.

„ქართული ღრამატიკა in 8. 36 გვ. მხედრ.

„რიტორიკა" in 8. 208 გვ. მხედრ.

„წმ. საბას ცხოვრება" in 8. 574 გვ.

„მიუწდომელობისათვის ღვთისა" იოანე დამასკელისა, in f.

„ქართული ღრამატიკა" ანტონ კათალიკოზისა, in 4. 388 გვ.

80 «ხილის პირნი» in 16.

„კონდაკი" მხატვრობით, in 8. 206 გვერ.

„წმ. მარინას საგალობელი", in 8. მხედრ.

„სამ-საგალობელი, სერობასა ზედა".

„კონდაკი მღვდელთ მთავრის წირვისა", in f.

კონდაკი მღვდელთ-მთავრისა" in f.

„ლოცვანი" in 8.

„დავითნი" in 8.

„სახარება" in f. 1743 წ. დაბეჭდილი მოსკოვს.

„პარაკლიტონი" in f.

90. „პარაკლიტონი" in f.

«ტიბიკონი საბას ლავრისა» in 8.

„პარაკლიტონი" in 8.

„გურთაჯვანი" in 8.

„კონდაკი“ in 8.
„კონდაკი“ in 8
«ჟამნი» in 8.
„ტიბიკონი საბას ლავრისა“ in 8.
«სადღესასწაულო» in 12
«დავითნი» in 8
100. «სამთვენი» XII, I, II. სადღესასწაულო», in f. 702 გვ. მხედრ.
„თვენრვალი. სადღესასწაულო“, in f. მხედრ
„კურთხევანი“. in 8.
„იანვარი. სადღესასწაულო“ in f. მხედრ.
„ჟამნი“ in 16.
„ლექსიკონი“ საბა ორბელიანისა, in 8, 882 გვ. მხედრ.
«გულანი» in f. დიდის მონასტრისა.
„გულანი“ in f. დაშლილია.
«სწავლა მღვდელ მოსვლისათვის» პეტრე მოციქულისა, in 16, მხედრ.
„ადამის ცხოვრება“ in 8. 376 გვ.
110. „კატეხიზმო“ ანტონ კათალიკოზისა, in 8. გადაწერილია 1769 წ.

აი ეს არის ხელ-ნაწერთა კატალოგი. საეკკლესიო დაბეჭდილ წიგნთა რიცხვი ორჯერ მეტი იქმნება. დღეს ეს მდიდარი ბიბლიოთეკა ერთი ათად მდიდარი იქმნებოდა, თუ არ ორჯერ ლეკთაგან უდაბნოს აკლება და მოსამსახურე ბერთაგან გაზიდვა. მაგ. ასისა ბერი 1860 წ. გადუყვანიათ შუამთაში და თან წაუღიათ ერთი მავრაშა ხელ-ნაწერის წიგნებით სავსე, რომელიც დარჩომია ვიღაც ბერიშვილს საკარგულოში, ასისას საკვდილისაგამო გზად. ტყავზედ ნაწერი სულ 22-ია, დანარჩენი ქაღალდზეა ნაწერი. მომეტებული ნაწილი ამ 110 წიგნისა საკვეა ისტორიულისა და ბიბლიოგრაფიულის მინაწერებით. მე მხოლოდ ტყავზედ ნაწერების მინაწერები“ გამოვსწერე, რომელთაც მოკლე ხანში გამოვგზავნი დასაბეჭდად. ეს „მინაწერნი“, როგორც მკითხველი თვით დარწმუნდება, საკვეა ისტორიულის ინტერესით, რადგან „ქართლის ცხოვრების ცნობებს ამტკიცებენ და ქართულის სიტყვიერების აღორძინებას X-XI საუკუნეში აჭეშმარიტებენ. კარგი იქმნებოდა ქაღალდზე ნაწერთაგანაც «მინაწერების გადმოღება, მაგრამ დრო-ჟამი ხელს არ მიწყობდა. ამასაც ვუმადლი შემთხვევას, რომ მე უდაბნოს „აღწერის“ შედგენა მქონდა მონდობილი და ამ «მინაწერების» გამოწერა მაინც მოვასწარ.

მღვ. პ. კარბელაშვილი.

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

21 ივლისს

ᲡᲐᲠᲐᲢᲝᲕᲘ. ხანგრძლივის ავის დარების შემდეგ ახალ-თესლის ჭირნახულებს მკა დაუწყეს. სარატოვში და პოკროვსკის უბანში მუშა ბლომად არის; ფასს კი მცირეს აძლევენ მუშებს.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. გენერალ ურსაბჭოებში ამორჩეულ იქმნენ 722 რესპუბლიკელი და 360 კონსერვატორი.

ᲚᲘᲡᲡᲐᲑᲝᲜᲘ. კოროლი პლიმუტში მიბძანდება. მემკვიდრე პრინცი იქმნება მის მაგივრად სახელმწიფოს მმართველად.

22 ივლისს

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. დღეს ხელმწიფე იმპერატრიცის და დიდთა მთავრინათა მარიამ პავლეს ასულის და მარიამ ალექსანდრეს ასულის დღეობის გამო, ქალაქი ბაირაღებით არის შემკული; დილის 10 საათზედ გადიხადეს პარაკლისი ვოსკრესენსკის საკრებულო ეკკლესიაში, სადაც დაესწრნენ უმაღლესნი კარის-კაცნი. უმაღლესს სასახლეში არავის არ იღებდნენ.

პეკინში ელჩად პოპოვის ნაცვლად, რომელიც მამე ავად-მყოფობის გამო დათხოვნილ იქმნა, დანიშნეს კუმანი, კონსულად ნამყოფი მარსელში,

ᲒᲐᲨᲢᲔᲘᲜᲘ. აქ მობძანდა თავადი ბისმარკი.

ᲠᲝᲛᲘ. პაპი პეკინში ელჩსა ჰგზავნის, ჩინეთი თავის მხრითაც ნიშნავს ელჩს ვატიკანში

23 ივლისს

ᲮᲐᲑᲐᲠᲝᲕᲐᲙ. სამზღვრის საქმე ჩინეთთან თითქმის გათავდა; მხოლოდ უნდა გეგმები აიღონ და ერთმანერთს გარდასცენ.

ᲰᲔᲘᲓᲔᲚᲑᲔᲠᲒᲘ. გუშინ დაიწყეს აქაურის უნივერსიტეტის ხუთასის წლის დაარსების დღესასწაული. დღესასწაული დაიწყო გერმანიის მემკვიდრე პრინცის სიტყვით, რომელშიაც გადასცა მსმენელებს, რომ იმპერატორს კეთილი სურსო უნივერსიტეტისთვისაო, უჩვენა, რა მნიშვნელობა აქვს უნივერსიტეტს, როგორც ახლად შეერთებულის გერმანიის აღმზდელსაო. პრინცმა სთქვა, რომ სასურველიაო, რათა უნივერსიტეტმა შემდეგშიაც დაიცვას მველებური კეთილ-მოქმედებანიო, და დასასრულ დაუმატა, რამდენადაც უფრო დიდს წარმატებას შევიძენთ მეცნიერებასა და ისტორიულს ცხოვრებაში, იმდენად უსაჭიროესია კეთილ-გონიერება, თავის-განწირულება და სასტიკი ზნეობრივი დისციპლინაო. პრინცის შემდეგ სთქვა სიტყვა რექტორმა, დიდმა ჰერცოგმა ბადენისამ და სხვა-და-სხვა დეპუტაციის წევრთა.

ᲒᲝᲛᲔᲚᲘ. გაათავეს ბალანსკის გზის კვეტის ნაწილი.

ᲡᲐᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲝ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

ქრისტეს აქეთ ჩღპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3.

ᲘᲕᲚᲘᲡᲘ 31 დღით არის.

24 დღე ხუთშაბათი. ქალწ.-მოწ. ქრისტინასი. კათოლ. წმ. ქალწ. კუნიგუნდისა. სომეხ. წმ. ისაია წინასწარ.-მეტყ. მუსულ. აბრაამისაგან ქააბის აღშენება; დაბად. ჰუსეინ იმამისა (სუნიტებისა). ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5—46. ტფილისში მზე ამოდის 4—58, ჩადის 7—13; მთვარე ამოდის 11—10, ჩადის 10—27.

25 დღე პარასკევი. მიცვალება. წმ. ანნასი, ღვთის-მშობლის დედისა. კათოლ. წმ. მოციქ. იაკობისა. სომეხ. ნახატონაქი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5—40. ტფილისში მზე ამოდის 4—59, ჩადის 7—12; მთვარე ამოდის 12—16, ჩადის 10—55.

26 დღე შაბათი. წმ. ქალწ.-მოწ. პარასკევასი კათოლ. წმ. ანნასი, ღვთის-მშობლის დედისა. სომეხ. წმ. თადეოს მოციქ. და ქალწ. სანდუხტასი. გენერ. გრაფი ივ. ვას. გუდოვიჩი კავკასიის მთავარ-მართებლად დაინიშნა 1806 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5—33. ტფილისში მზე ამოდის 5—0, ჩადის 7—10; მთვარე ამოდის 1—19, ჩადის 11—23.

27 დღე კვირა. წმ. პანტელეიმონისა. კათოლ. წმ. ალმსარ. კამილ ლელისელისა. სომეხ. მეორე კვირა ფერის-ცვალებიდგან. ქორწინების ნება ეძლევათ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—15. ტფილისში მზე ამოდის 5—1, ჩადის 7—9; მთვარე ამოდის 2—19, ჩადის 12—0.

28 დღე ორშაბათი. წმ. მოციქ. პროხორისა, ნიკანორისა, ტიმონისა და პარმენისა. კათოლ. წმ. ნაზარიასი და მოწ. ცელზასი. სომეხ. წმ. ეპისკ. კიპრიანესი, 45 მოწ. და წმ. ქალწ. იუსტიანესი და სხ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5—17. ტფილისში მზე ამოდის 4—2, ჩადის 7—7; მთვარე ამოდის 3—17, ჩადის 12—14.

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲑᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

ნიხრი

1 ივლისიდამ 1-ლ აგვისტოდამ.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	2½
» » 2 »	2 »
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½ »
» » 2—	3 »
» » 3 »	2½ »
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	4½ »
მე-2 ხარისხისა . .	3 1/ »
მე-3 — . . .	3 »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 »
« » 2	6 »
სუკი	14 »
ცხვრის ხორცი . . .	7 »

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით, მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის		გადის		სტანციები	მოდის		გადის	
	საათ.	წამი.	საათ.	წამი.		საათ.	წამი.	საათ.	წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი	—	—	8	35	ბათუმი	—	—	8	35
ავჭალა	8	52	8	55	ქობულეთი	9	25	9	28
მცხეთა	9	13	9	21	ნატანები	9	54	9	57
ქსანი	9	39	9	41	სუფსა	10	21	10	27
კასპი	10	6	10	9	ლანჩხუთი	11	—	11	3
გრაკალი	10	29	10	31	ნიგოითი	11	14	11	16
გორი	10	54	11	4	საჯავახო	11	39	11	41
ქარელი	11	33	11	36	სამტრედია	11	56	12	15
გომი	12	—	12	4	კოპიტნარი	12	35	12	37
ხაშური	12	21	12	41	რიონი	1	7	1	20
სურამი	12	53	12	56	აჯამეთი	1	32	1	34
ფონი	1	24	1	27	ყვირილა	2	11	2	26
ბეჟათუბანი	2	14	2	34	ძირულა	3	4	3	6
მარელისი	3	3	3	5	ბელაგორი	3	33	3	36
ბელაგორი	3	32	3	35	მარელისი	4	3	4	5
ძირულა	4	2	4	5	ბეჟათუბანი	4	34	4	54
ყვირილა	4	43	4	58	ფონი	5	41	5	44
აჯამეთი	5	35	5	37		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი	6	12	6	15
რიონი	5	49	6	4	ხაშური	6	27	6	42
კოპიტნარი	6	34	6	36	გომი	6	59	7	3
სამტრედია	6	56	7	16	ქარელი	7	27	7	30
საჯავახო	7	31	7	33	გორი	7	59	8	9
ნიგოითი	7	56	7	59	გრაკალი	8	32	8	34
ლანჩხუთი	8	10	8	14	კასპი	8	54	8	57
სუფსა	8	47	8	55	ქსანი	9	22	9	24
ნატანები	9	19	9	22	მცხეთა	9	42	9	48
ქობულეთი	9	48	9	51	ავჭალა	10	6	10	8
ბათუმი	10	41	—	—	ტფილისი	10	25	10	55

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დღისით					ღამით			
ტფილისი	—	—	3	15	სურამი	—	—	2	35
ავჭალა	3	38	3	41	ხაშური	2	47	3	2
მცხეთა	4	6	4	16	გომი	3	26	3	31
ქსანი	4	42	4	45	ქარელი	4	5	4	12
კასპი	5	20	5	25	გორი	4	53	5	8
გრაკალი	5	53	5	56	გრაკალი	5	40	5	45
	საღამოთი					დილით			
გორი	6	28	6	43	კასპი	6	13	6	19
ქარელი	7	24	7	29	ქსანი	6	54	6	57
გომი	8	3	8	7	მცხეთა	7	23	7	33
ხაშური	8	31	8	46	ავჭალა	7	58	8	1
სურამი	8	58	—	—	ტფილისი	8	24		

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲙᲝᲛᲐᲜᲓᲔᲠᲘ საქართველოს ქვეითის მათის იმპერატორობითის უმაღლესობის დიდის მთავრის გიორგი მიხეილის ძის დრუჟინისა აცხადებს, რომ საზაფხულო ბანაკში ს. საყარაულო დილმელაურში, თიანეთის მაზრისა, თხუთმეტს ივნისს ამა 1886 წელსა იმავე დრუჟინის ხაზინადრის იასაულ თ. რუსიევის სამგზავრო ცხენზედ ასაკიდებელ ყუთიდგან იმისავე საკუთარ ნივთებთან მოიპარეს სახელმწიფო ფულის ყუთის დასაბეჭდი ბეჭედი, რომელზედაც არის ამოჭრილი სახელმწიფო ღერბი გარშემო რუსულის ზედ-წარწერით: „Денежная печать Грузинской дружины“ და გასაღებები დრუჟინის ფულის ყუთისა.

ყველას, ვინც ამ აღნიშნულს ბეჭედს და გასაღებებს შემთხვევით, თუ სხვაფრივ იპოვნის, ანუ შეჰნიშნავს ვისმეს ხელში, სთხოვენ გამოუცხადონ ალაგობრივ პოლიციას, რათა მან აცნობოს დრუჟინას. (3—1)

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ.

მაქვს პატივი ვაცნობო ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა, რომელთაც ჰსურთ შვილები მოაბარონ რწმუნებულს ჩემდამი **სათავად-აზნაურო სასწავლებელში**, რომ მომავალის ენკენისთვისათვის მოსამზადებელის კლასის პირველს განყოფილებაში ოც-და-ათი ვაკანსია არის თავისუფალი, რომლებზედაც მიღებულ იქმნებიან უეგზამენოდ შვიდის წლის ყმაწვილები. რამდენსამე შარშანდელს მოსწავლეს ამ განყოფილებისას კიდევ ექმნებათ ეგზამენი აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში და, თუ ისინი გადაყვანილ იქმნენ შემდეგ განყოფილებაში, იმ შემთხვევაში 30-ს ვაკანსიას კიდევ მოემატება რამდენიმე ვაკანსია.

მოსამზადებელის კლასის სხვა განყოფილებაში ყველა ვაკანსიები დაკავებულია და ვერავის მივიღებთ ამ წელიწადში. მესამე პროგიმნაზიულს კლასშია **ხუთი ვაკანსია** და ამ ვაკანსიების დაჭერა შეუძლიანთ თოთხმეტის წლის ყმაწვილებს, რომელნიც ამ კლასის შესაფერად მომზადებულნი აღმოჩნდებიან.

თხოვნა და საბუთები (წლოვანობის მოწმობა და აზნაურობისა, ან ბანკში მონაწილეობისა) ერთად უნდა შემოიტანონ სასწავლებლის მმართველის სახელზედ აგვისტოს 15 რიცხვიდგან. ყმაწვილების მიღების საქმე გარდაწყდება აგვისტოს უკანასკნელს რიცხვს.

სასწავლებლის მმართველი
(8—1) ა. ჭიჭინაძე.

„ᲗᲔᲐᲢᲠᲘ“

საყოველ-კვირაო ლიტერატურული გაზეთი განაგრძობს მეორე ნახევარის წლის ხელის მოწერას.

წლიური ფასი	5 მან.
ნახევარ წლიური . . .	3 მან.

სხვა გვარად ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხელის-მოწერა და განცხადებები მიიღება მხოლოდ ქ. თბილისში—რედაქციის კანტორაში, არწრუნისეულ ქარვასლაში, № 110.

ქალაქ გარეთ ხელის-მომწერთ ამ ადრესით შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი: Тифлисъ, Въ редакцію газеты „Театръ“

რედაქტორ-გამომცემლის მაგიერი
ვ. გუნია.

Дозволено цензурою Тифлисъ 23 іюля, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.